



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 204



2013 წლის 27 დეკემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის თანდართული 2014 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 40000 (ორმოციათასი) ლარი.
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #13) ერთი თვის განმავლობაში

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

**ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე
სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა**

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამა ეფუძნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონს, შემუშავებულია მისი აღსრულების მიზნით და მიზნად ისახავს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სპორტული მოედნების (სპორტული კომპლექსების) მოვლას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობას.

მუხლი 2. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის განხორციელებისათვის „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტით“ გათვალისწინებული აუცილებელი ხარჯების მოცულობაა _ 40000 ლარი

	დასახელება	თვის ხარჯი	სულ წელიწადში
1	ადმინისტრაციული ხარჯები	1675	20100
2	სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა	100	1200
3	ტერიტორიების და მათზე განლაგებული სადღეღამისო დაცვის უზრუნველყოფა	1220	14640
4	ტერიტორიების და მათზე განლაგებული ნაგებობების და მოწყობილობების შენახვისათვის აუცილებელი მიმდინარე ხარჯები	338,33	4060
		3333.33	40 000

მუხლი 3. პროგრამის გავრცელების ობიექტები

1. დღეის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედია შემდეგი სპორტული მოედნები ქ. ხაშურში_ ტაბიძის ქუჩაზე დასვენებისა და კულტურის ბაღში მდებარე ჩოგბურთის კორტი და მინი ფეხბურთის მოედანი და სასიერნო ბაღი, დაბა სურამში რკინიგზის სადგურთან მდებარე სპორტული კომპლექსი და სკვერი, ქ. ხაშურში ბორჯომის ქუჩაზე მდებარე სკვერი, დაბა სურამში 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედანი.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების გზები

პროგრამა ხარჯების გათვალისწინებით განხორციელდება მოვლა-შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები, რომლის შესყიდვა უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რაც თავისმხრივ გულისხმობს:

ა) სპორტული მოედნების (სპორტული კომპლექსების) ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებას;

მუხლი 5. სხვა დებულებები

იმის გათვალისწინებით რომ ქ. ხაშურში ტაბიძის ქუჩა #21-ში და დაბა სურამში რკინიგზის სადგურთან მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირება განუყოფელია მიმდებარე პარკების დანიშნულებასთან და განიხილება მიმდებარე კულტურისა და დასვენების პარკებთან მთლიანობაში, პროგრამის გავრცელების გაგრძელებამ უნდა მოიცვას ზემოთ აღნიშნული პარკების მთელი ტერიტორიები.

მუხლი 6. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების და კულტურისა და დასვენების პარკების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა.

მუხლი 7. შეფასების ინდიკატორი

საზოგადოების გამოხმაურება და შეფასება;
კეთილმოწყობილი მოედნების და პარკების რაოდენობა.